

მოსახლობის საჭიროებების კვლევის პრაქტიკა ადგილობრივ
თვითმმართველობებში, ბიუჯეტსა და სტრატეგიულ
დოკუმენტებში/სამოქმედო გეგმებში მათი ასახვა

შოთა ჯაბუა; თეკლე ბოჭორიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა
და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი არჩილ აბაშიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თეკლე ბოჭორიშვილი

შოთა ჯაბუა

21.06.2018

სარჩევი

განაცხადი.....	2
აბსტრაქტი.....	5
შესავალი.....	7
თავი 1. საქართველოში არსებული რეალობა - მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩო მოქალაქეთა მმართველობით პროცესებში ჩართულობის უზრუნველსაყოფად	9
1.1 საკანონმდებლო შესაძლებლობების ანალიზი	17
1.2 რეკომენდაციები მოსახლეობის ჩართულობის მექანიზმებთან მიმართებით.....	26
თავი 2. ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი ადგილობრივ თვითმმართველობებში	28
თავი 3. პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენის პროცესი, სტრატეგიული და საქმიანობის გეგმები ოზურგეთის მუნიციპალიტეტში	38
თავი 4. მოსახლეობის საჭიროებების კვლევის მნიშვნელობა და არსებული პრაქტიკა ადგილობრივ თვითმმართველობაში	45
4.1 კვლევა - ფოკუს ჯგუფი „მოსახლეობა“	50
4.2 ჩაღრმავებული ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან	56
4.3 ჩაღრმავებული ინტერვიუ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან	63
4.4 რაოდენობრივი კვლევა - მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივ თვითმმართველობაში	68
4.5 კვლევის შედეგების მიმოხილვა	82
თავი 5. მოსახლეობის საჭიროებების გამოვლენის წარმატებული მაგალითები	84
5.1 მონაწილეობითი დემოკრატია - პორტუ ალეგრის მაგალითი	87
5.2 სამოქალაქო ინიციატივა - ქალაქ სოპოტის (პოლონეთი) მაგალითი.....	90

5.3 სამოქალაქო ინიციატივა - ქალაქი ტორუნი (პოლონეთი)	92
5.4 სახელისუფლებო ინიციატივა - ქალაქ ზვოლენის მაგალითი	94
5.5 მონაწილეობითი დემოკრატია და მონაწილეობითი ბიუჯეტირება.....	95
თავი 6. დასკვნა და რეკომენდაციები	99
ბიბლიოგრაფია	109

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს იმის დადგენას, თუ რამდენად ხდება ადგილობრივ თვითმმართველობებში მოსახლეობის საჭიროებების შესწავლა. იყენებენ თუ არა კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოქალაქეთა მმართველობით პროცესებში ჩართულობის მექანიზმებს და რამდენად აქვს ამის შესახებ ინფორმაცია მოსახლეობას.

ამ მიზნებისათვის გავეცანით ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს კანონს და მასში განხორციელებულ ცვლილებებს მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფის კუთხით. გავეცანით, ადგილობრივი თვითმმართველობის საბიუჯეტო პროცესებსა და მის აქტორებს.

ასევე, რათა შეგვესწავლა რამდენად ხდება განხორციელებული ცვლილებების პრაქტიკული იმპლემენტაცია, ჩავატარეთ კვლევა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. კვლევა გულისხმობდა ფოკუს ჯგუფებსა და ჩაღრმავებულ ინტერვიუებს, ასევე რაოდენობრივ კვლევას. ამის საშუალებით ვეცადეთ დაგვედგინა - აქვს თუ არა მოსახლეობას ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ? რა ფორმით ხდება მოსახლეობის საჭიროებების დაფიქსირება სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტებში და როგორია მოსახლეობის ზოგადი განწყობები ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ.

ასევე, ჩვენს საკვლევ თემასთან მიმართებით ვეცადეთ წარმოგვედგინა საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც დანერგილია მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში და წარმატებით უზრუნველყოფს მოსახლეობის ჩართულობას ადგილობრივ მმართველობით პროცესებში და შესაბამისად, მათი საჭიროებების ასახვას ბიუჯეტსა თუ სხვა დოკუმენტებში.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ჩვენი ნაშრომის მკითხველთ ვთავაზობთ ჩვენს რეკომენდაციებსა და შენიშვნებს.

Abstract

Our work aims to define if there is a practice of assessing the needs of the population in local-governments and does the local government use those mechanisms, which are meant to involve citizens in governance processes by the legislation and does people have any information about their rights of being involved in governmental processes.

To find out the answers about our questions we decided to get more information about Georgian local government law and to learn more about the changes that were made to make people more involved in governmental processes. Also, we decided to learn about budgeting processes in local government and got more information about the actors which are involved in those processes.

After we got all this information, we decided to find out how all these mechanisms work in real life. For that purpose we decided to have research at Ozurgeti municipality. The survey included focus groups and quantitative research.

Also we tried to find out more about the best practices related to our topic and based on all this information we tried to represent our recommendations.